იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 12 (196)

ივნისი,


1968 წელი



ივანე ჯავახიშვილის ძეგლი თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ახალი სამკურნალო პრეპარატები



რამდენიმე კილომეტრზე გასდევს ევკალიპტების ხეივანი კახბარის გზატკეცილს — საავტომობილო გზის ცენტრალურ მაგისტრალს, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს აჭარის მთიანეთთან აკავშირებს.

ევკალიპტების ხეივანი არა მარტო ამშვენებს გზატკეცილს, არამედ ევკალიპტის სასიამოვნო და გამაჯანსაღებელ სურნელებას მატებს ჰაერს მთელ ტრასაზე.

სურათზე: ევკალიპტების ნარგავები საავტომობილო გზის გასწვრივ.

გულის პრეპარატს „შროშანას წვენს“ ამზადებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. მეცნიერებმა გამოიყენეს მცენარის ყვავილისა და ფურცლებისაგან სამკურნალო საშუალებათა მიღების მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს შევინარჩუნოთ ბუნებრივი სახით გლუკოზიდები (ძირითადი ქმედითი ნივთიერება), რაც ჩვეულებრივ არ ხერხდებოდა.

შროშანას არსებული პრეპერატებისაგან განსხვავებით ქართველ მეცნიერთა საშუალება თერაპევტულად უფრო აქტიურია. იგი ტოქსიკური არ არის, მოქმედებს რბილად და სტაბილურია შემადგენლობით.

მარტივმა ტექნოლოგიურმა პროცესმა მნიშვნელოვნად გააიაფა წამალი. იგი რეკომენდებულია ნევროზების და გულისახლძარღვთა სისტემის მოქმედების ყველა დარღვევის დროს.

ქართველმა ფარმაკოქიმიკოსებმა დაიწყეს აგრეთვე ახალი პრეპარატის გამოშვება ხეჭრელას ქერქისაგან — ეს არის „რამნილი“, მას იყენებენ კუჭნაწლავის დაავადების დროს.

დღემდე ხეჭრელას ქერქისაგან პრეპარატების დამზადების დროს ვერ მოხერხდა სტაბილური შემადგენლობის წამლის მიღება.

„რამნილი“ განთავისუფლებულია მინარევების — ტანიდებისა და სხვა ნივთიერებებისაგან, რომლებიც ცვლიან მის ფარმაკოლოგიურ მოქმედებას. ეს მედიკამენტი პირველად გახდა ეფექტიანი სტანდარტული სამკურნალო პრეპარატი.

„შროშანას წვენი“ და „რამნილი“, რომლებიც მიღებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში, ნებადართულია სამედიცინო პრაქტიკაში გამოსაყენებლად სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ფარმაკოლოგიური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

ქართული სუვენირები

თბილისში აწყვია კაკლისა და მუხისაგან გამოთლილი ლამაზი ქართული ჩუქურთმით დამშვენებული ქვევრები, ჭინჭილები, სურები. ეს არის საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო კოოპერატივში გაერთიანებულ მხატვრული რეწვის ოსტატთა პროდუქცია.

აი ნატიფი ნამუშევარი — ყელსაბამები ქართველი ქალის გამოსასულებით, რომელიც შესრულებულია ძველი ქართული სტილით, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალის ბარელიეფი — ლითონზე ნაჭედი.

თეატრალური საზოგადოების ოსტატთა ნაწარმის ნიმუშები ექსპონირებული იყო მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე, ალჟირის საერთაშორისო ბაზრობაზე.

გამოდის 70-მდე სახეობის სუვენირები. მათ შორის არის ორიგინალური საფულე-ჩანთები, რომელზეც დიდი მოთხოვნაა და ბევრი სხვა ნაწარმი.

თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის

ერთი ბურჯთაგანი

თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ბურჯთაგანი იყო დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1885 წელს ქ. სიღნაღში, პედაგოგის ოჯახში. მშობლებმა იგი თბილისის გიმნაზიაში მიაბარეს, რომელიც 1895 წელს დაამთავრა. იმავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. თავისი მაღალი და ნათელი ნიჭით, ბეჯითი სწავლით ჰაბუკმა ჯავახიშვილმა თავიდანვე მიიქცია გამოჩენილი მეცნიერის ნ. მარის ყურადღება, რომლის რეკომენდაციით უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ივანე კარგად ხედავდა, რომ ქართველოლოგია, კერძოდ კი მშობლიური საქართველოს ისტორია გაუტეხელი ყამირი იყო და ამ მიზნით პეტერბურგის უნივერსიტეტში 1903 წელს ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სექცია.

საზაფხულო არდადეგების დროს ის მოაშურებდა ხოლმე მშობლიურ მხარეს და საჯარო ლექციებს კითხულობდა ქართველმცოდნეობის სხვადასხვა საკითხებზე.

ჯავახიშვილს ნათლად ესმოდა, რომ ქართველმცოდნეობის ცენტრი თბილისი უნდა ყოფილიყო. საამისოდ ის შესაფერის ხანას უცდიდა. ეს დრო დადგა 1917 წელს, როცა დაემხო ხალხთა საპყრობილე — რუსეთის ცარიზმი.

ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგში, თავის ბინაზე მიიწვია ქართველ პატრიოტთა ჯგუფი, სადაც გადაწყდა, რომ დადგა შესაფერისი დრო ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად.

ჯავახიშვილმა დატოვა პეტერბურგი, დაბრუნდა თბილისში და შეუდგა უნივერსიტეტის გახსნისათვის ზრუნვას.

ხანგრძლივმა პრძოლამ შედეგი მოიტანა — 1918 წლის 26 იანვარს უნივერსიტეტის გახსნა დიდი ზეიმით აღნიშნა ქართველმა ხალხმა. ეს იყო ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ტრიუმფი.

თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პროფ. პეტრე მელიქიშვილი აღნიშნავდა: — ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა; აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიდება.

1940 წლის 18 ნოემბერს აუდიტორიაში, ლექციის კითხვის დროს შეწყდა გულისცემა აძ დიდი ადამიანის და მამულიშვილისა. ამ ამბის გამო სახელოვანი ქართველი მეცნიერი აკაკი შანიძე აღნიშნავდა: „ჩ-მყოფთ ძარღვებში სისხლი გაგვიშრა, გონება დაგვებნა, ყველა შიშის ზარმა აგვიტანა. მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა, შორს გაისმა გლოვის ზარი.

ივანე ჯავახიშვილის ცხედარი უნივერსიტეტის შენობაში დაასვენეს. ძაძებით შეიმოსა უნივერსიტეტი. ამრიგად მამულიშვილს მოწიწებით ეთხოვებოდა ქართველი ერი. 21 ნოემბერს მოხდა მისი დაკრძალვა. მეცნიერების ლამპარის დამნთებმა უნივერსიტეტის ეზოში ჰპოვა სამარადისო სავანე. მშობლიურმა მიწამ ჩაიხუტა დიდი ქართველი.

ნ. პაპკიაური.

* * *

სურათზე: მეცადინეობა უნივერსიტეტის ერთ-ერთ ლაბორატორიაში კათოდურ ოსცილოგრაფზე.



საუგარი შინმოუსვლელ ძმასთან

რაც დრო გადის, რატომღაც შენთან ხვაშიადის განდობის სურვილი უფრო და უფრო მეზადება.

ეჰ, რა ძნელია უგზოუკვლოდ დაკარგული კაცის ამბის გაგება! ვინ იცის, ახლა სადმე უცხო მიწაზე ობლადშთენილი, უთვისტომო ხავშვივით დახეტიალობ და შენატრი ჭარსა, ყველგან თავისუფლად რომ დანავარდობს? იქნებ... მაგრამ ამის გაფიქრებაც არ მინდა წამით... შენი დაღუპვის ამბავი ჩემთვის არავის მოუტანია, კვლავ მზისქვეშ მეგულები... სხვაგან თუ არა, ჩემ გულში მაინც ხარ მუდამ ცოცხალი, ჰოდა, ჩემს გულში გესაუბრები.

ბედმა სად გადაგაგდო, როგორ გიმუხთლა, როგორ გაგწირა?

გიგონებ, როცა ცაზე ღრუბლები მომოდიან და ფერს იცვლიან. ჩემი ფიქრიც იმ ღრუბლებში ერევა და ისიც ხაირწაირად იცვლის ფერს — იმედი ებრძვის სასოწარკვეთას. ზოგჯერ ღრუბლები სულში ჭირისუფალივით ჩამოსხდებიან და მოთქმით ტირიან, ცრემლი სდით ღვარად. მერე უცებ იელვებს და ცრემლის მღვიმეს ნუგეში მინათებს, ნუ დარდობ, შენი ძმა ცოცხალიაო.

გიგონებ, როცა წვიმის შემდეგ ტელეფონის მავთულებს წვეთები მწყობრი თანმიმდევრობით მისდევს და ცრემლებივით სცვივა ხოლმე, ციმციმა კურცხლებივით. ტელეფონის მავთულებში ხომ ერთდროულად გარბი-გამორბის ავი და კარგი ამბები და წვეთებიც თითქოს იმ ამბებს მიჰყვებმოჰყვებიან და სიხარულით ან მწუხარებით შეთრთოლებულნი მავთულებს ცრემლებივით სწყდებიან. ვინ არ იცის, ცრემლი ორგვარია — ლხინისა და ჭირისა, მე მინდა, რომ ეს ლხინის ცრემლები იყოს.

გიგონებ, როცა ვარსკვლავებსა და მთვარეს ვხედავ. იქნებ ციურ მნათობებს ჩემი ძმაც ასევე შესცქერის და ჩემზე ფიქრობსმეთქი? ცა სამნებითა და მიჯნებით არ არის დაყოფილი, იგი ერთიანად ყველასია. მხოლოდ დედამიწაა საზღვრებით დანაწილებული და ადამიანებს ერთმანეთისაგან სწორედ ეს თიშავს, უამრავ უბედურებასაც სწორედ ეს იწვევს.

ომი... უმოწყალო სისხლის წვიმების ჭამია ომი. მაშინ თითქოს მზესაც კი ხიშტი ჰქონდა გაყრილი და სისხლის ღვართქაფი სდიოდა.

ოთხ წელიწადს არ შემწყდარა ცრემლისა და სისხლის წვიმა. ღრეობდნენ სისხლისფერი ღრუბლები და სანგრებში ჩაწოლილ უძილო ღამეებს ძაღლური ღვედავით უყეფდნენ ნაღმები. ცეცხლის ბოლი, დენთის კვამლი, გზების მტვერი და ცრემლის ოხშივარი ერთმანეთში აირია. ბევრი რამ ამ ბურუსში გაეხვია და ჩაინთქა.

ჭიდობიან მთებსა და ველებზე ფერთა ცეკვა-ლხენას, მზისა და ჩრდილის დავლურს რამდენჯერ მოვუხიბლივარ, ომის დროს კი ვნახე, როგორ ცეკვავდა და საზარლად ხარხარებდა გულგახარებული სიკვდილი.

იმ წყეულმა ომმა დავგვაშორა ღვიძლი ძმები. შენ ჩიტის ბუდეც არასოდეს დაგინგრევია. არც მე. ომმა კი ორივეს თოფ-ზარბაზანი დაგვაჭრინა ხელში. ომის დაწყებისთანავე შენი ამბავი კვამლ-ბურუსში გაეხვია. უკანასკნელი ბარათი 1941 წლის მაისის მიწურულში გამომიგზავნე.

ომის წელთა უხვი ფარფლი, მგონი, ახლაც დაჭრის ცაში და ყვავილებს შავთეთრ პეპლებად ეფინება, შხამშერეულ პეპლებად. ეს თითქოს მაშინდელი ომის სულია ისევ შემორჩენილი.

მიწას კარგა ხანია იარები მოურჩა, ნასანგრალები თითქმის აღარსად ეტყობა, ადამიანის სულს კი ის ძველი ჭრილობები დღესაც ამჩნევია და კვლავინდებურად აწუხებს.

მე ერთ სოფელში მაჩვენეს ქალი, ყოველ დილა-საღამოს ჭიშკართან რომ დგას და თვალმოუშორებლად გაჰყურებს გზას. ვია ელოდებით, ეკითხებიან. შვილს, ქმარსა და ძმასაო. აგერ, ოცდახუთ წელიწადზე მეტია ომი დამთავრდა, ეს ქალი კი ისევ ელოდება... ლოდინია მისი სიცოცხლე.

ომმა ოჯახი და ადამიანი არ დატოვა ხელუხლებელი. მავანს შვილი და ქმარი წართვა, მავანს მამა და ძმა, ზოგსაც ყველა ერთად. ერთი ცალთვალა დატოვა, მეორე ცალფეხა, ზოგს სიცოცხლე გაუნახევრა. ერთს უკვდავება აჩუქა, მეორეს სამარეც არ აღირსა, ზოგსაც უნებლიეთ გზააცდენა დაუბნია და შინ დაბრუნება ვეღარ გააბედვინა. ყველა ხე ვერ უძლებს ვრიგალს.

ჩვენი სოფლიდან, ბიჭო, ომში თურმე 325 კაცი წავიდა, შინ კი მხოლოდ 72 დაბრუნდა, ისიც უმეტესობა დაჭრილი და ხეიბარი. ჩვენი სოფელი წვეთია, ახლა ზღვა წარმოიდგინე. აი რა ცოდვის კალო დაატრიალა ომმა.

ვინც კიდევ ომის გაჩაღებას დაეპირებს, ყუმბარის ნაცვლად ქვეშეხის ლულაში ის უნდა შეტენო და ცაში უმისამართოდ გაისროლო.

კაცი რომ მიწას ხნავს, ადამიანს, ხნულისა და გუთნის შუხმატკბილებული გალობა მესმის. ეს მათი ერთობლივი სასიცოცხლო ფიქრის დიდი სიმღერაა. მაგრამ როცა კაცი კაცის მოსაკლავად მიდის, ჩემთვის, ომგადახდილი ადამიანისათვისაც კი, აქამდე ეს ამბავი უგუნურ გამოცანად რჩება. ვერ გამიგია, ადამიანები ერთმანეთს ასე უმიერთოდ რატომ ხოცავენ, რატომ არის ეს სამინელება გარდუვალი, ადამიანთმოდან კაცობრიობის ისტორია სისხლში რატომ ცურავს, ნუთუ ამ გონიერ არსებას, ადამიანს, იმის უნარი არა აქვს, რომ საჭირბოროტო ამებების მოსავარებლად უკეთესი, უსისხლო გზა გამონახოს?

ეჰ, მე და შენ ამას ვინა ვეკითხავს, თორემ...

ორიოდე წლის წინათ ჩვენს სოფელში დიდი სტენდი გააკეთეს. ზედ ომიდან მობრუნებელთა ფოტოსურათები გააკრეს. თავზე რატომღაც წაუწერიათ — ომში დაღუპულებიო. ეს რომ ვნახე, გულზე ლახვარივით მომხვდა და თავკაცს ვკრიჭე: „ომიდან შინმოუსვლელნი“ უფრო მოუხდება-მეთქი.

ვინც ომიდან შინ არ დაბრუნდა, განა ყველა დაღუპულია? იქნებ უმეტესობა მართლაც ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათ მომლოდინე ადამიანებს იმედი სულ რატომ უნდა გადავუწყვიტოთ? მე არ მეგულება შინმოუსვლელის არცერთი დედა, თავისი შვილი რომ დაღუპულად მიაჩნდეს და ეს უსაშველო უბედურება საბოლოოდ დაიჯეროს. ვისი სიკვდილიც ჩვენი თვალით არ გვინახავს, ძნელია ამის წარმოდგენა, მით უმეტეს, თუ ეს ამბავი ომში დაკარგულ ჩვენიანს ეხება.

ბიჭო, არც მე მინდა დავიჯერო შენი დაღუპვა.

სხვათა შორის, იმ სტენდზე შენი სურათი და მამაჩვენისა მხარდამხარ არის გაკრული. შენ ფარაჯა გაცვია, მამაჩემი სამოქალაქოდ არის გამოწყობილი. ჯარისკაცად-ქვეშევმა ჯარისკაცული სურათის დატოვებაც ვერ მოასწრო, ისე შეჭამა ომმა. ოჯახიდან ომში სამი ვიყავით წასული და მხოლოდ მე დავბრუნდი. ზოგ კერაზე ერთიც არ დაბრუნებულა. ორ-ორი და სამ-სამი ძმა

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის

პირველი წლები

„სამშობლოს ხმის“ პუბლიკაცია

აწ განსვენებულმა პროფესორმა ვარლამ თოფურიამ უნივერსიტეტი 1922 წელს დაასრულა. ეს იყო ქართული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება. ქვემოთ ვაქვეყნებთ ვ. თოფურიას სიტყვას, რომელიც მან უნივერსიტეტში წარმოსთქვა 1964 წელს.

— საქართველოს ისტორიდან ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა უმაღლესი სასწავლებლების მქონე იყო ისტორიულად. სახელგანთქმული გელათის აკადემია, იყალთოს აკადემია — უთუოდ თავიანთი ფუნქციით და დანიშნულებით უმაღლესი სასწავლებლები იყო, მაგრამ საქართველოს მეფის რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ 117 წლის განმავლობაში ქართველ ხალხს არ ჰქონდა შესაძლებლობა არა თუ უმაღლესი სასწავლებელი, არამედ დაწყებითი სკოლა ჰქონოდა ქართულ ენაზე. ასეთ ვითარებაში უნივერსიტეტის გახსნა ქართველი ერისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობისა გახლდათ, როგორიც შეიძლება იყოს საერთოდ ერის ცხოვრებაში ეროვნული განთავისუფლება. ამით აიხსნება ის დიდი ზეიმი, რაც ჩვენი უნივერსიტეტის გახსნამ გამოიწვია.

თავდაპირველად უნივერსიტეტი იყო კერძო უნივერსიტეტი. მთავრობა სრულიად არ იღებდა მონაწილეობას არც გახსნასა და არც დამარებაში. ამით აიხსნება ის სიძნელენი, რაც უნივერსიტეტის ცხოვრებას თან ახლდა. მდგომარეობა მეტად რთული იყო. სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ უნივერსიტეტს თავისი სახსრებით, რა თქმა უნდა, არ შეეძლო განათებაც ქონოდა (საერთოდ განათების საკითხი მოუგვარებელი იყო) და გათბობაც. ამიტომ მთელი ზამთრის განმავლობაში უნივერსიტეტი არცერთხელ არ გამთბარა. იდგა მჭვარტლიანი ლამპა დიდ აუდიტორიაში, რომელიც ბოლავდა და მჭვარტლისაგან გამურული შუშიდან შუქი ვერ ატანდა. მე არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, ლექტორი ასეთ სიცივეში პალტოჩაცმული შემოსულიყო აუდიტორიაში. მთელი საათის განმავლობაში კითხულობდნენ ლექციას ამ სიცივეში. ეს გახლდათ თავდადება და ჩვენება იმისა, თუ როგორ უნდა ეჭიროს ლექტორს თავი თუნდაც ისეთ პირობებში, როგორიც მაშინ იყო.

აუდიტორია ყოველთვის გაჭედილი იყო, დასაჯდომი ადგილი არ გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ გაიგონებდით ერთ გაჩურჩულებასაც კი. სულგანაბულნი, ესმოდათ თუ არ ესმოდათ, უსმენდნენ ლექციას მთელი ყურადღებითა და მონდომებით.

პირობები სტუდენტებისათვის ერთობ სავალალო იყო. ჭერი ერთი, უმეტესობა მსახურობდა, სხვანაირად არსებობა მათ არ შეეძლოთ. ვინც არ მსახურობდა, სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბევრმა ისე დავამთავრეთ უნივერსიტეტი, რომ, როგორც იტყვიან, პურით არ გავმძღარვართ, არ იყო არც ბინისათვის ზრუნვა, არც სასადილო იყო სტუდენტებისათვის, სტიპენდიაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ვისაც როგორ შეეძლო, ისე სწავლობდა, ისე ცხოვრობდა, მიუხედავად ამისა, ყველა სტუდენტი ვალდებულად თვლიდა თავს კარგად ესწავლა უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის გახსნამ ხალხში გამოიწვია დიდი ენთუზიაზმი, სიყვარული და პატივისცემა. ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ უნივერსიტეტის დამაარსებლები და სწორედ ამიტომ იყო უშუალველი შემოწირულება უნივერსიტეტისათვის, მისი არსებობისათვის.

ასეთი იყო ქართული უნივერსიტეტის პირველი წლები.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ესტრადაზეა „რერო“

ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“. მისი მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. პევზნერი.

საბჭოთა კავშირში ალბათ არ არის ქალაქი, სადაც აღფრთოვანება არ გამოეწვიოს ამ ნიჭიერი კოლექტივის გამოსვლებს. მის პროგრამაშია რუსული, ქართული, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სიმღერები და ცეკვები.

1966 წელს საესტრადო ორკესტრი „რერო“ საფრანგეთში იყო. ერთი თვის განმავლობაში საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებლები ტაშით აჯილდოვებდნენ ქართველ მსახიობებს.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“ ემზადება ჩეხოსლოვაკიაში გასტროლებისათვის.

• • •

სურათებზე: უკრავს საესტრადო ორკესტრი; ორკესტრის საბალეტო ჯგუფი.





საუბარი შინმოუსვლელ ძმასთან

(**გაგრძელება**)

დაიღუპა ერთად, ბევრი კერა სულ გაცივდა.

სტენდის გაკეთებისას ერთი უცნაური რამეც მომხდარა. შეცდომით შენთან ერთად გადაღებული თანაპოლკელი ამხანაგის სურათიც ამოუბეჭდიათ და სტენდზე ისიც გაუკრავთ, მერე დუწყიათ ძებნა, ვინ არისო. ბიცოლაჩემი მიმხვდარა, რომ ის ბიჭი ჩვენებური არ იყო და ჩამოუხსნიათ...

გაუგებრობის მეტი ქვეყნად რა არის, მაგრამ ყველა გაუგებრობა ასე ადვილად როდი სწორდება.

ომის დროს შენთან შეხვედრა რამდენჯერ მინატრია. ქართველი კაცის ლაპარაკს რომ გავიგონებდი, ას ყურს გამოვისხამდი ხოლმე, შენს ხმად მელანდებოდა. ყველას ვკითხებოდი, ამნაირი ბიჭი ხომ არსად შეგხვედრიათ-მეთქი. დენთის კვამლში შენი სახე ერთხელაც ვერ დავლანდე, შენი მნახველი ვერავინ ვნახე.

გათავდა ომი. სამშობლოში დავბრუნდი და ჩემი სული კვლავ საქართველოს სილამაზის ყურებით დავაპურე. მაგრამ ჩემი სიხარული უღრუბლო როდი იყო. სოფლის გზაზე ფარაჯიანი რომ ვინმე გამოჩნდებოდა, შენ მეგონე და გული მიჩქარდებოდა... იმ ხანად სიზმრადაც უფრო ხშირად მეცხადებოდი.

შინმოუსვლელებზე ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ვისი სიკვდილის ცნობაც ნამდვილად იყო მოსული, იმათზეც კი ამბობდნენ, ცოცხალიაო. შენზედაც თქვეს, ერთ ზემოურ კაცს ომის დამთავრებისას ცოცხალი უნახავსო. ის კი დარწმუნებით ვერავინ მითხრა, ნამდვილად ვინ თქვა, ან იმ ვიღაცამ სად გნახა. მაშინ მე მგონია, ხალხი ყველას ასე აიმედებდა. ომგადახდილ ქვეყანას ნუგეში უნდოდა და ნუგეშს ადამიანები თვითონ იგონებდნენ, რომ ომის ის დიდი უბედურება როგორმე იმედის ცქცხლით დაეწვათ. ომგადახდილი სიცოცხლე ადამიანებს სთხოვდა, გამხნევდითო.

იმ ხანად ჩვენ სოფელში ბევრ ჩემ ტოლ-ამხანაგსა და ნაცნობს ვედარ ვხედავდი, ყველაზე მეტად კი შენ მაკლდი, ოთხი წლით უფროსი ძმა. თუმცა შენ ჩემთვის მარტოდენ ძმა როდი იყავი.

გახსოვს, შენ ლეჩსებს წერდი და მეც ამიყოლიე. შენ პიესებს წერდი, ჩვენი უბნის ბიჭებთან ერთად ვენახში ჩადგმულ კარვებში წარმოდგენებს მართავდი, და მეც გბაძავდი. მერე რომანის წერაც დაიწყე, ერთი საერთო რვეული გაავსე. მაშინ თითხმეტ-თხუთმეტი წლისა იყავი, მეტის კი არა.

სწორედ შენ შემაყვარე წიგნები, სამწერლო კალამიც შენ აძალებინე ხელში, ჩემი პირველი ლექსების, მოთხრობებისა და პიესების პირველი მსჯავრმდებელი და წამხალისებელიც შენ იყავი. დედას თავის სიცოცხლეში ერთადერთი მოთხრობა ჰქონდა წაკითხული — „სამანიშვილის დედინაცვალი“. არც მეპურე მამას ეცალა ჩემი მწერლური ნიჭის აღმოსაჩენად და მოსავლელად.

თუ დღეს მე რაიმეს წარმოვადგენ, ამას უპირველეს ყოვლისა შენ გიმადლი. თუ მე დღეს ქვეყნისათვის საჭირო ადამიანი ვარ, ეს შენი ღვაწლიც არის, ამ სიკეთეს წმინდა სათავე შენ გაუკვალე. როცა ჩემი ახალი წიგნი გამოდის, ხელში ბავშვივით ავიტაცებ ხოლმე და შენი ნათელი ლანდიც იქვე ჩნდება. როგორ მინდა იმ ჩემ სიხარულსა და ბედნიერებას შენც ესწრებოდე. გაზიარებული ბედნიერება და სიხარული ხომ ჩვეულებრივს ათასჯერ აღემატება!

მთებიდან მოხეთქილი მშფოთვარე მდინარე ლუხუნი გახსოვს? როგორ გიხაროდა, იმ მდინარეში რომ გასცურავდი და გამოსცურავდი. წითლად დაფორჯგნილ კალმახებსაც ხშირად იჭერდი. ზოგჯერ სათევზაოდ მეც დაგყავდი. ლუხუნი იყო შენი პირველი ემბაზი და გამნათვლელი. აქ ისწავლე ცურვა და მერე მეც მასწავლე. შემდეგ ცხოვრებაში ეს ბევრჯერ გამომადგა. ბავშვობაში სითამამეს შენ დამაჩვიე და ის ბავშვური სითამამე ვაჟკაცურ სიმამაცედ მექცა, პატიოსანი შრომის სიმამაცედ მექცა. მე ცხოვრებაში მხოლოდ ამ პატიოსნებით გავიკაფე გზა. ომშიც კი ეს მშველოდა. შენ მომნათლე ლუხუნის ემბაზში და თითქოს მისი სულიც გამომაყოლე. ჰოდა, თუ რამეს მივაღწიე, ამაში შენი წვლილიც ურევია. თუ რამ დამაკლდა, შენც გაბრალებ — გვერდით რომ მყოლოდა, უფრო მეტი რამის გაკეთებას შევძლებდი-მეთქი.

მე ახლა ჩემ განვლილ ცხოვრებას ბედნიერების მთიდან გადავყურებ, მაგრამ, იმასაც ვფიქრობ ხოლმე: ათასჯერ ამაზე ბედნიერი ვიქნებოდი, შენც რომ მხარს მიმშვენებდე.

ზოს მამაპაპურ ბუხართან ქართველი გლეხი და ტელევიზორში მსოფლიოს ხედავს. არა, არ უკვირს. ჩვენმა საუკუნემ იმდენი საკვირველება აჩვენა ადამიანებს, რომ... ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ ტელევიზორით მსოფლიო მსოფლიოში მოგზაურობს და იმ მსოფლიოსთან ერთად ვმოგზაურობთ ჩვენ... ოჯახში კი ვზივართ, იქნებ მამაპაპურ ბუხართანაც.

ნეტავ შემეძლოს ჩემი ფიქრი ტელევიზორის თვალად ვაქციო, ეს თვალი მსოფლიოში მიმოვატარო და დაგინახო, თუ სადმე ხარ! ბავშვურადაც ბევრჯერ მინატრია: ნეტავი ჯადოსნური სარკე მაპოვნინა, ჩემი ძმის ამბავს დანამდვილებით გავიგებ-მეთქი. მე სულაც არ გამიკვირდება, ასეთი ჯადოსნური სარკე რომ გამოიგონონ. ვინ მოთვლის, რამდენი ზღაპრული რამ იქცა სინამდვილედ.

რაკი ვერ გხედავ, გულს მოგონებებით ვიობებ.

გახსოვს, გული ადგილად მოგდიოდა, ტაფაზე დადებული მსუქანი ლურთიგით აშიშხინებოდი ხოლმე და „ჩიჩხონას“ გეძახდით. რომ გაიგებდი, შეჭამანეს ხახვი ჩაატრესო, პირს არ დააკარებდი. ერთხელ, ლობიოს გემრიელად რომ შეეჭიკჭიკე, გითხრეს, ხახვი ჰქონდა, შენ კი ვერ გაიგე, ჰოდა, წინდაწინ ტყუილად რატომ იზიზღებო. ხატვა გემარჯვებოდა. სკოლაში ყველა ლოზუნგს შენ გაწერინებდნენ და ყველა კედლის გაზეთს შენ გაფორმებინებდნენ. შენი დახატული ბერეტიანი ქალი ჩვენი კარის მეზობლის დიდ ოთახში დღემდეა გაკრული. იმ ოთახში მორთულობა ბევრჯერ შეცვალეს, რამდენჯერმე ახალი შპალერითაც გაალამაზეს, ის ნახატი კი თავის ადგილას ხილუხლებლად დატოვეს... შენს სახსოვრად.

თუთუნის წერა ადრე დაიწყე. მერე ერთ დღეს გადაწყვიტე, თავს დავანებებო. პაპიროსის სავსე კოლოფი მისრის-მოსრისე, დანაკუწე და ერთიანად გადაყარე. მეორე დღეს კი უთუთუნოდ კბილებს აპაწაწუპ-

---

(**გაგრძელება მე-5 გვერდზე**).

წიგნის თარო

გამომცემლობა „მერანი“

იაკინთო ლიასვილი — ერთგულება (რომანი).

ლევან გოთუა — მატიანური. (მოთხრობები, ნოველები).

ილია ხოშტარია — სათავისაკენ (ლექსები).

გეგლარ მუჯირიშვილი — ამბავი ერთი სიყვარულისა (მოთხრობები).

ვერიკო ანჯაფარიძე — თეატრალური წერილები.

თამარ აბაკელია — ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა. ალბომი. შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო გულნარა ჯაფარიძემ.

ვერიკო ანჯაფარიძე. ალბომი. ავტორი-შემდგენელი კ. ნინიკაშვილი.

გამომცემლობა „მეცნიერება“

ლ. გედუკიძე, ლ. სოსელია, მ. ჩართოლანი — სარტყულების კატალოგი.

ექვთიმე თაყაიშვილი — რჩეული ნაშრომები. ტომი I.

საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები (კრებული).

გ. ჟურაშვილი — ექინოკოკოზი, ცენუროზი და მათთან ბრძოლა.

ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ.

არნ. ჩიქობავა — მარტივი წინადადებების პრობლემა ქართულში I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში.

თინ. შარაძენიძე — არნოლდ ჩიქობავა.

გამომცემლობა „ნაკადული“

გ. გარსევანიშვილი — ერთი ახეულის ამბავი.

პეტრე შამათავა — გვარდიის ჯარისკაცი ნიკოლოზ მოსიაშვილი.

რეზო ჰეიშვილი — წლევანდელი ზაფხული წყალტუბოში. (მოთხრობები).

ა. კალანდაძე — დღეები ბრესტის სიმაგრეში.

მამია ასათიანი — გელათის ქრონიკები.

დავით გაძრაძე — ლეგენდარული რეიდი.

ნოე კაკაუშაძე — დიდი სიცოცხლე (მოთხრობები).

რედაქციისაგან:

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო თანამემამულენო! თუ რომელიმე წიგნი თქვენთვის საინტერესოა, გჭირდებათ, მოგვწერეთ და სიამოვნებით გამოგიგზავნით. მომავალ ნომერშიც განყოფილება „წიგნის თარო“ თქვენ გაგაცნობთ საქართველოში დაბეჭდილ ახალ წიგნებს.

თურქეთისა და ინდოეთისათვის

„საქმრეწველექტროპროექტის“ ინსტიტუტის კოლექტივმა დაამთავრა თურქეთის ქალაქ სეიდშეჰირის უდიდესი ალუმინის ქარხნის საგლინავი და სამსხმელო წარმოების ელექტრონაწილის საპროექტო დავალების დამუშავება.

როგორც ჩვენს კორესპონდენტს აცნობა საპროექტო-ექსპერიმენტული განყოფილების უფროსმა ო. სანაძემ, ქარხანა აღიჭურვება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საგლინავ საამქროში პასუხსაგები კვანძების კვებისათვის გამოყენებულია ნახევარგამტარიანი გარდამქმნელები. მათ, მბრუნავ მანქანებთან (მოტოგენერატორებთან) შედარებით, მარგი ქმედების უფრო მაღალი კოეფიციენტი აქვთ, უფრო საიმედოა ექსპლოატაციის დროს და ათავისუფლებს მოსამსახურე პერსონალის მნიშვნელოვან რიცხვს. ელექტროამძრავების ტექნიკური პროექტის დამუშავების დროს გამოყენებული იქნება მამოდელირებელი ელექტრონული მოწყობილობა. მთელი სქემა აგებულია უნიფიცირებულ ბლოკის სისტემაზე.

ასეთივე პროექტი დამუშავდება ქალაქ კორბის (ინდოეთი) ალუმინის ქარხნისათვის, რომელიც თავის სიმძლავრით ერთნახევარჯერ გადააჭარბებს თურქეთის ქარხანას.

საუბარი შინამოუსვლელ ძმასთან

(გაგრძელება)

დი და ისევ იმ ადგილს მიაშურე, ხუთ კილომეტრზე მთაში წახვედი, იქნებ თუთუნის ნაფხვენი ვიპოვნოო. ასეთი უცნაური იპოხონდრიაც გჩვეოდა, მაგრამ ეს არაფერია.

სადაც შენ გამოჩნდებოდი, იქ უმალვე კეთილი ხუმრობა, ომახიანი სიმღერა და მხიარული ცეკვა-თამაში იმართებოდა. გულგადაღეღილ ბიჭს გოგოები მტრედის გუნდივით დაგდევდნენ. ამან თავმოყვარეობის ჭია ადრევე გაგიჩინა და ჭაბუკური ამპარტავნობაც შემოგპარა... ერთხელ, სკოლაში მიმავალი შუა გზიდან დაბრუნდი, ფიხსაცმელი გამეხა და ტოლებში ასე ვერ გამოჭნდებიო.

შენი ხუმრობები ახლაც ცოცხალია სოფელში, შენს ფრთიან სიტყვებსაც ხშირად იმეორებენ, თუმცა პირველად რომ შენ თქვი, ეს აღარ ახსოვთ.

ერთი ობოლი ბიჭი იყო, დაძინება იმისთვის უხაროდა, სიზმარში დედას ვნახავო. მე კი იმითაც ვარ ბედნიერი, თუ სიზმარში შენ გხედავ ხოლმე. რატომღაც ყოველთვის შორეთიდან დაბრუნებულად მესიზმრები, შენი სიკვდილი კი ერთხელაც არ დამისიზმრებია. ეს ალბათ ძილში ჩაყოლილი ფიქრიც არის. მარტო მე კი არა, ჩემ შვილებსაც ცოცხალი ეგულები და ისინიც გვლიან. შენს სურათებს ხშირად აკვირდებიან და გნატრობენ.

ერთი გულითადი მეგობარი მყავს, ძმაში არ გამომერჩევა. ყველაზე მეტად იმასთან საუბარი და ყოფნა მსიამოვნებს, შენ წარმოიდგინე, კამათიც. ამ მეგობარს შენი სახელი ჰქვია. ჩვენი დაძმაკაცების მიზეზი, ეტყობა, ქვეშეცნეულად ესეც არის. ჩემი გოგოები ღვიძლ ბიძასავით ესიყვარულებიან, მის ოჯახში სტუმრობა განსაკუთრებულად ახარებთ.

შენი მასწავლებლები დიდ მომპალას გიწინასწარმეტყველებდნენ. ზოგი, ვინც შენ გიცნობდა, ახლაც რომ შემხვდება, სინანულით მეტყვის ხოლმე: რა ცქცხლიანი ბიჭი იყო, რა ნიჭიერი, აფსუსია მისი დაკარგვაო.

მე ვწყევლი ომს, რომელმაც მე და შენ გაგვყო. შენი თავი ომმა მარტო მე კი არა, ჩვენს ხალხსაც წაართვა. ეშმაკმა თუ ანგელოზმა ეგ შენი ნიჭი რა გზაზე წაიყვანა, სად გადაგვდო, იქნებ სულაც ჩააჭრო და მოკლა? ვინ იცის, ახლა ბედის წისქვილი რა ავად გიბრუნავს და მშვილებს კი ვერ ეძახი? იქნებ ომის დროს უნებლიეთ შესცოდე რამე? ჰო, უნებლიეთ, თორემ, მშობლიური ქვეყნის სიყვარული, საქართველოს მიწა-წყლის სიყვარული მე სწორედ შენგან ვისწავლე.

ომის დროს გზები სისხლის ნისლ-ობშივარსა და დენთის კვამლ-ბურუსში იყო გახვეული. იმ ბურუსმა გზაკვალი აუბნია ათასობით წმინდა ადამიანსაც კი, ბოლომდე ყველამ ფიხმართლად ვერ გაიარა. თუ შენც ასე დაგემართა, მე ვინატრებ, ისევ შენმა პატიოსნებამ და კაიკაცობამ შეგინდოს ის შეცოდება და სიკეთის გზისაკენ შემოგაბრუნოს.

არა, მე ღმერთი არა ვარ, ადამიანს ყველაფერი მოვუტევებ, მაგრამ როცა ადამიანი ომის ბურუსში იბნევა და სწორ გზას ვეღარ აგნებს, მთავარ დამნაშავედ მე ომი მიმაჩნია. ეჰ, ნეტავი შეიძლებოდეს, ომში სწორ გზასაცდენილ ყველა პატიოსან ადამიანს უნებლიე შეცოდება შეენდოთ, ომი კი საბრალდებულო სკამზე დავსვათ და მკაცრად გავასამართლოთ. ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად ისიც წავუყენოთ, გულმართალ და უბოროტო ადამიანებს გზა-კვალს რომ უბნევს და სამშობლოს აკარგვინებს. ჰოდა, დავსაჯოთ უსასტიკესად: მოვსპოთ მისი სახსენებელი დედამიწაზე.

თუ შენ ახლა სადმე უცხოეთში დახეტიალობ, ალბათ ჩემზე უკეთ გრძნობ, სამშობლოს დაკარგვა რა უსაშველო უბედურებაა.

ამასწინათ ჩემმა ამხანაგებმა ოკეანესკაღმა იმოგზაურეს. იქ სწორედ ომის ბურუსში გზააბნეულ რამდენიმე ქართველს შეხვდნენ. ერთმა თურმე იცი რა უთხრათ? რამელიმე თქვენგანმა აქ დარჩენა რომ მოინდომოს და ამის გზაც იოლად გამონახოს, ჩვენ, აქ გადმოხვეწილი ქართველები, ყველაფერს მოვიმოქმედებთ, რომ ხელი შეგეშალოთო, თქვენ არ იცით, სამშობლოდან მოწყვეტა რა ჯოჯოხეთური სატანჯველიაო. თუ სამშობლოდან მოკვეთილი ხარ, თუ იქ დაბრუნების პირი აღარა გაქვს, ქალამდე ოქროში რომ იყო ჩაფლული, მაინც ყველაფერი გაკლია და მათხოვარზე საცოდავი გლახაკი ხარო. ეს რომ უთხრა, მერე თურმე ყველას სანთებელა („ზაჟიგალკა“) მისცა: ბიჭებო, ეს საჩუქრად არ მიიჩნიოთ, საქართველოში რომ დაბრუნდებით, ზოგჯერ ამით მოუკიდეთ თუთუნს და მომიგონეთ, ერთი უბედური ქართველი ოკეანეს გალმა როგორ უცქცხლოდ იწვის და იტერფლებაო.

ძმაო, იქნებ შენც ამ ყოფაში ხარ?

ლამაზია მზით განათებული თბილისი, ღამით კიდევ უფრო ლამაზია. ზღაპრულად განათებულა ნარიყალას ციხე. ადგილის დედა, ქართველის დედა ცაშია ნათლის სვეტივით აზიდული და მაღლიდან გადმოჰყურებს თბილისს. ცალ ხელში მახვილი უჭირავს, მეორეში — ფიალა: მე მტერს მუდამ მტრულად ვხვდებოდი, მოყვარეს მოყვრულადაო. საქართველოს ადგილის დედა ხან მრისხანე ჩანს, ხან სათნო, ხან მხიარული, ხან სევდიანი, მაგრამ მუდამ ქედმოუხრელი, როგორც თვით საქართველო იყო მარად. განსაკუთრებით ბინდში მიყვარს მისი ყურება, ასე მგონია, უსასრულო ქვეყნიერებას გაჰყურებს და იდუმალად ჩურჩულებს-მეთქი. მერედა, იცი რას ამბობს? მისი ხვაშიადი და ქართული მიწის გულისხმენა ერთია: ვინ მოთვლის, უცხოეთის მიწაზე რამდენმა ჩემმა დვიძლმა შვილმა ცრემლები დაღვარა. ის ცრემლები დიდი ხნის შემდეგ ჩემთან ღრუბლებს მოაქვთ, დღენიადაგ სულში მეღვრება და მწვავსო.

იქნებ ღრუბლის მიერ ქართველის დედამდე მოტანილ ცრემლებში შენი მდუღარე კურცხალიც ურევია?

როცა ომმა შორს გადამისროლა, სანგარში ჩაწოლილს საქართველოში ყოფნა რომ დამესიზმრებოდა, უბედნიერესი კაცი ვიყავი. იმ სიზმრის სიტკბო-სიამე კარგა ხანს არ მშორდებოდა. სიზმარნანახი თვალს რომ გავახელდი, უმალვე ისევ ვხუჭავდი, იქნებ სიზმრისეული ხილვა შემომიბრუნდეს-მეთქი.

ასეთ რამეს შენ ალბათ ასჯერ მეტი სიძლიერით განიცდი.

ზოგჯერ ჭარს ვუგდებ ყურს და მეჩვენება, რომ ამ ჭარს უცხოეთიდან შენი ხმაც მოჰყვება, სამშობლოდაკარგული ადამიანის ხვაშიადი მოსდევს:

უთვისტომოდ დარჩენილი მე ვარ კაცი,
უცხო გზებზე დავდივარ და ვგოდებ.
კაცი სიკვდილს განა მუდამ
დაამარცხებს,
ჰოდა, მიჯობს, ჩემს მამულში მოვკვდე.
უცხო ცისქვეშ მე მიტყდება მუდამ
ძილი,
გულს ობლობის შავი ცეცხლი მიწვავს.
მუდამ ვნატრობ: როგორც დედას
ღვიძლი შვილი,
ჩავებუტო სამშობლოის მიწას.

(დასასრული მე-7 გვერდზე)



იქ, სადაც იბადება არაგვი
ფოტო ვ. ჭისტაურისა.

ლამაზი, თანამედროვე

კერამიკის ჭურჭელი, ლამაზი, თანამედროვე, თითქოს საქართველოს მინდვრებისა და ვენახების არომატს შეუქმნია. „ნადიკვარი“, „შველი“, „ნაზი“, „შროშანა“, „ჭინჭილა“ — საალერსო, პოეტური სახელები უწოდეს მათ მხატვრებმა. ხოლო რამდენი შრომა და ფანტაზიაა ჩაქსოვილი მათ შექმნაში. ჯერ იბადება ესკიზი, შემდეგ ისხმება ყალიბი და მზადდება მოდელი. ღუმელებში გამოწვის, გამოწრთობის და მოჭიქურების შემდეგ მოდელები კვლავ უბრუნდება ავტორს, რომელიც სიყვარულით ალამაზებს ნაწარმს. ფუნჯის კიდევ ერთი წასმა და მხატვრის ხელში კერამიკული ჭურჭელი დამთავრებულ სახეს იღებს.

თბილისის კერამიკული კომბინატის ნიმუშების ოთახში ნახავთ ყველაფერს, რაც საწარმოს გაუკეთებია დაარსების დღიდან. აქ არის ნამუშევრებიც, რომელთა სერიული წარმოება ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყეს. ყველა ისინი შეასრულეს გამოცდილმა მხატვრებმა ი. მელაშვილმა, ნ. ლუარსაბოვმა, ე. ხაჩიძემ, მ. ბაიდაშვილმა, გ. კობერიძემ. შარშან მათ აითვისეს დაახლოებით ათი ახალი ნაწარმის გამოშვება. მკრთალ-ყავისფერი ჭიქურის ტექნოლოგია შეიმუშავა კომბინატის ქიმიკოსმა ნ. ხარბედიამ.

ქართველ ოსტატთა მიერ შესრულებული კერამიკული ნაკეთობანი მარტო ჩვენს ქვეყანაში როდია პოპულარული. ათი საუკეთესო ნამუშევარი წარდგენილი იყო მსოფლიო გამოფენაზე მონრეალში. ახლა საამჭროს კოლექტივი ამზადებს თავის ნაწარმოებთა დიდ კოლექციას საფრანგეთში გასაგზავნად. მასში შევა ოცზე მეტი სხვადასხვა ნიმუშის ქართული კერამიკა.

მკვარი 2.000 წელს

საქართველოს მეცნიერებმა, რომლებიც სწავლობენ ამიერკავკასიის ძირითადი წყლის არტერიის — მდინარე მტკვრის აუზის წყალსამეურნეო ბალანსს, დაადგინეს, რომ უკვე მეორიათასე წელს მისი რესურსები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპეციალისტები უკვე ახლა ეძებენ ღონისძიებებს მტკვრის აუზის წყლის უკეთ გამოყენებისათვის. მაგალითად, საქართველოში განზრახულია აიგოს მთელი რიგი დიდი წყალსაცავები და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, რომლებიც წყლის მარაგს დაიგროვებენ გაზაფხულისა და შემოდგომის წყალმოვარდნის დროს. ეს საშუალებას მოგვცემს საჭირო რაოდენობით მივაწოდოთ წყალი სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად.

ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტში შემუშავებულია პროექტები მდინარე მტკვრის შევსებისა და სავლეთ საქართველოს მთელი რიგი მდინარეების წყლით, რომელიც ახლა შავ ზღვაში მიდის.

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. მოდებაძემ თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ. შენგელაიას ხელმძღვანელობით შეიმუშავა მდინარეების ძირულისა და ყვირილის წყლების მტკვარში გადმოგდების სქემების რამდენიმე ვარიანტი.

ერთი მათგანი ითვალისწინებს ყვირილასა და მტკვარს შორის სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ჰიდროტექნიკური გვირაბების აგებას. აიგება რამდენიმე სატუმბავ-სატურბინო დანადგარის კასკადი. გამოანგარიშებულია, რომ ამ დანადგარების კასკადი ყვირილიდან მტკვარში გადმოტუმბავს მილიარდნახევრამდე კუბურ მეტრ წყალს. ამდენი წყალი საკმარისია საქართველოს და აზერბაიჯანის 200 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწების მოსარწყავად.

წყლის გადატუმბვა ყვირილიდან მტკვარში გათვალისწინებულია მხოლოდ ზაფხულის რწყვის პერიოდში. ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდებში კი სატუმბავ-სატურბინო დანადგარები ჰესის მსგავსად გამომუშავებენ რამდენიმე მილიარდ კილოვატსაათ მარეგულირებელ ელექტროენერგიას წელიწადში.

შედგენილია ყვირილიდან მტკვარში წყლის გადაყვანის სხვა ვარიანტის პროექტიც, რომელიც ითვალისწინებს ყვირილის წყლის გადავდებას მის შენაკადში, ხოლო იქიდან მტკვარში.

ჯ. ცხომელიძე.

ქართველი სპეციალისტები ვიეტნამში

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსმა ამირან გოგიამ წერილი მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. იწერება მისი მეგობარი და დამრიგებელი ილია ჯოჯუა. გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გამოცდილი ორგანიზატორი, იგი ერთი წლის წინათ გაგზავნეს მოძმე ქვეყანაში, რათა დახმარებოდა ვიეტნამელებს სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვაში.

ი. ჯოჯუა იწერება ვიეტნამის წიაღის სიმდიდრეზე, საბჭოთა სპეციალისტების მისწრაფებაზე ჩააყენონ იგი ხალხის სამსახურში, საბჭოთა ხალხისადმი ვიეტნამელთა სიმპათიისა და სიყვარულის გრძნობებზე.

საბჭოთა გეოლოგებმა გამოიკვლიეს და დაადგინეს ქვანახშირის, სპილენძისა და სხვა წიაღისეულის საბადოთა მარაგი.

მაგრამ, იწერება ილია ჯოჯუა, წინ არის კიდევ უფრო დიდი მასშტაბის გეოლოგიური კვლევა. კარგია მუშაობდე მეგობართა შორის, სულიერად მდიდარ ადამიანთა შორის, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სამშობლოს ღირსებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ავტომატიკა შახტებში

მაღაროელების ორი განძარცვა დიდ როლს ასრულებს მათ ეკსპლოატაციაში, სპაროეტო სიმძლავრის ათვისებაში. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ მიწისქვეშა მაგისტრალებისათვის, სადაც ინტენსიურად მოძრაობს შემადგენლობები. აქ საჭიროა დაიდგას შახტის ავტომატიზებული სავენტილაციო კარი, რომელიც უზრუნველყოფს შემადგენლობათა მოძრაობას 5-8 წუთის ინტერვალით ისე, რომ არ დაირღვეს ვენტილაციის სქემა.

ასეთი ავტომატიზებული სავენტილაციო საშახტე კარები პირველად დააპროექტა საქართველოს შახტების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა და დაამზადა ნალჩიკის ქარხანა „ცენტრმეტკარიბორთან“ თანამეგობრობით. როგორ მოქმედებენ ეს კარები? როცა მანგანუმით ან ქვანახშირით დატვირთული შემადგენლობა კარს უახლოვდება, ელმავლის პანტოგრაფის იმპულსის ზემოქმედებით ამუშავდება ავტომატური კარის მექანიზმი და იგი იღება. შემადგენლობის გავლის შემდეგ კარი ავტომატურად იხურება.

როგორც ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს ინსტიტუტში, წარმატებითი გამოცდის შემდეგ ავტომატური კარები დაიდგა ჭიათურის ახალი ითხვისის მაღაროში. მათი ზუსტი მუშაობა უზრუნველყოფილია შუქისა და ბგერის სიგნალიზაციით, რომელიც განაპირობებს შემადგენლობათა უსაფრთხო მოძრაობას. ავტომატური კარით ნორმალურად ხდება მაღაროს ვენტილაცია. გარდა ამისა, იგი საშუალებას აძლევს შემადგენლობას მაქსიმალური სიჩქარით გაიაროს, რაც ბევრად ზრდის მიწისქვეშა საშახტო გზების გამტარუნარიანობას.

ამჟამად ტყიბულისა და ახალციხის შახტებისათვის ამუშავებენ ამწე დანადგარების ავტომატიზაციისა და მათი დინამიკური დამუხრუჭების პროექტებს. ისინი ბევრად შეამსუბუქებენ მაღაროელთა შრომას.

(დასასრული)

საუბარი შინამოუსვლელ ძმასთან

ერთი ტკბილად მოსაუბრე, სპეტაკგულიანი ბერიკაცი ამემგზავრა. აღარ მახსოვს, რა სიტყვამ მოიტანა, შემკითხა მითხრა:

— შვილო, მძიმეა გულზე დაყრილი მიწა, მაგრამ რაკი ბუნებამ თუ განგებამ ყველას მიწისაგან შექმნა დაგვიწესა, სჯობია, ისევ მშობლიურმა მიწამ შემიფაროს, ჩემს ქვეყანას მივემარტები. უცხო მიწაში ჩაწოლა თუ მომიწევს, ის მიწა უფრო მძიმედ დამეყრება, მძიმედ და უკიმეურად. მაგრამ ჩემიანი ერთ მუჭა მშობლიურ მიწას თუ დამაყრის, გულზე დაწოლილი მთელი მიწის ხვავი გამიმსუბუქებს და შვებას ვიგრძნობ. ერთ პეშვ მშობლიურ მიწას ასეთი ჯადო-თილისმა აქვს. ჰო, ცოცხლებს ასე გეგონია, უამისოდ სასუფევლის გზა რამ გაგვინათოს? აქ ერთი ამბავიც არის, შვილო. ყველა ქართველმა თითო პეშვი ქართული მიწა უცხოეთში რომ გაიტანოს, მეტიც აღარ დარჩება. პატარაა ჩვენი საქართველო და ამ მიწას აღარ უნდა მოაკლდეს, რატომ არის საქართველო პატარა? სწორედ იმიტომ, მუჭა-მუჭა რომ გაჰქონდათ, აქაოდა, უცხოეთში გულზე დასაყრელად მიგვაქვსო. და მაინც უამრავი ავბედითობის გზაზე რამ გადაარჩინა საქართველო, იცი? ამ მიწას მუჭა-მუჭა ინახავდნენ... მომაკვდავნი ინახავდნენ. ვერ გაიგე? აგერ, უფრო გარკვევით გეტყვი. წინათ, სისხლის წვიმების ჟამს, ერთი მუჭა ქართული მიწა ბევრმა ქართველმა გაიტანა უცხოეთში და დიდი საქართველო თანდათან დაპატარავდა. მაგრამ სულ რომ არ დავიკარგეთ, მთლიანად რომ არ გავქრით, ამასაც ერთ მუჭა მიწას უნდა ვუმადლოდეთ. ურიცხვ მომხდურთან ბრძოლაში დაცემული ქართველი მეომრები მშობლიურ მიწას მუჭა-მუჭა ბეღურჯავდნენ და ინახავდნენ. ჰო, მშობლიურ მიწაზე დაკრულნი კვდებოდნენ, გაციებულ ხელებშიც თითო მუჭა მშობლიური მიწა ეჭირათ, და საქართველო ცოცხლობდა. მკვდრებს მუჭაში მოქცეულ ქართულ მიწას გადამთიელი ვეღარ ართმევდა და ის მიწა ისევ მათს შვილებსა და შვილიშვილებს რჩებოდა. ასე გადაურჩა სისხლის წარღვნებსა და ავბედით ჟამს საქართველო... ჰოდა, ამ ერთ მუჭა საქართველოს დღს მეტად უნდა მოვლა, უცხოეთში აღარ უნდა გავიტანოთ, თუ ამაზე მეტად დავპატარავდით, ყველა დავვადგამს ფიხს და გვისრისებით.

ბერიკაცის სიტყვა გულზე დამებეჭდა სამუდამოდ.

მე მხოლოდ მშობლიურ მიწას შემიძლია დავუმოქო, მერე მუხლმოდრეკილმა და ცაში ხელაპყრობილმა ამავე მიწისათვის ვილოცო და ვიგალობო.

მე თუ რამეს ვწერ, უპირველეს ყოვლისა ჩემი ხალხისათვის. ჩემს ყველა ნაწარმოებს ქართულ მიწაზე უდგას ორივე ფეხი, მშობლიური ქვეყანა აწოვებს ძუძუს, უვლის, აპურებს და ალაღებს. ჰოდა, როგორ შეიძლება ამ მიწას არ ვუმღეროო? საქართველო ჩემთვის დედაა, უკვდავი დედა, ჩემი თაღლისა და ავგაროზი და მშობლიური ქვეყნის სიყვარულია.

ბავშვობისას რამდენჯერაც ვიკითხე, როგორ გავზნდი-მეთქი, მითხრეს, ხნულში გიპოვეთო. მერე წამოვიზარდე, ქვეყნიერების ამბები, ასე თუ ისე, გავიგე და მივხვდი: კეთილად მატყუებდნენ. ახლა რატომღაც კვლავ მინდა ვირწმუნო, რომ მაშინდელი სიტყვა მართალი იყო. თუ ამ მიწამ არ დამბადა, ასე რათ მიყვარს საქართველოს მიწა-წყალი? მე მინდა დავიჯერო, რომ ქართული მიწის ხნულში მიპოვეს. ჰოდა, ყველაზე დიდი ჩემი სანატრელი ის არის, როცა ბუნება თავისი წესის აღსრულებას მომთხოვს, ქართული მიწის ხნულს დავუბრუნდე, შიგ თესლივითი ჩავიმარხო, შემდეგ კი ახალ სიცოცხლედ ამოვჯიჯლიდე და გავიფოთლო. ძნელია უცხოეთში სიკვდილი. დღეს თურმე თურქეთში კაციშვილმა არ იცის, რომ გიორგი საკაძე იქ არის დამარხული. ისიც კი არ გაუგიათ, გიორგი საკაძე ვინ იყო.

კარგად ვიცი, ჩემი სამშობლო სამოთხე არ არის, მაგრამ მე იგი მიყვარს სწორედ იმგვარი, როგორც არის. არც ნაშუასის ქუდი აკლია, არც კაცურკაცობა და არც სხვა სიკეთე. სულ მზიანი გზით სიარული სწადია. პატარა საქართველო დიდ შვილებსა ზრდის, საკვირველი შვილებს. მე ვამაყობ მისი ძველი კულტურით, რომელიც მხოლოდ გამჭვიანებულ დიდებად კი არ ბრწყინავს, ახალ-ახალი შარავანდედით, ჩვენი დღეების კულტურული ნაღვაწით მშვენდება და მდიდრდება, იმ ძველს მომავლისაკენ ერთგულად მიუძღვის.

მე ვიცი, ქართველები ანგელოზები არ არიან, მაგრამ მე მიყვარს ის, რაც მათში სჭარბობს — სიწმინდის, სიკეთისა და გონიერების ადამიანური საწყისი. და როცა მე ადამიანის არსებაში ჩრდილსაც ვამჩნევ, როცა ჩვენს ხალხში აქა-იქ შემორჩენილ მანკიერებაზეც ვწერ, ამასაც საქართველოს სიყვარულით ვაკეთებ, რომ იგი უფრო გავალამაზო და გავაკეთილშობილო, თუ ასეთი რამ მწერლის სიტყვას შეუძლია. მწყინს, როცა ზოგი ვაი-ჯალმოსანი თავისი ქვეყნისა და ადამიანის ჩრდილოვან მხარეებს მარტოოდენ სალანძღავად და ლაფის მოსაცხებად იყენებს. მე სამშობლოს სიყვარულად მისი უფრო გამშვენიერებისათვის ბრძოლა და შრომა მწამს, რამეთუ მე სიცოცხლეც აქ მინდა და სიკვდილიც.

წუთისოფელს ერთი უტყუარი სიბრძნე აქვს. ადამიანს ჩაუნერგა სურვილი, თვალი იქ დახუჭოს, აკვნიდან გადმოსულმა სადაც პირველად დაადგა ფეხი, სადაც პირველად შეხედა ზეცას, შეხედა მზეს და ნამგალა მთვარეს, სადაც პირველად გატოპა მდინარეში. სადაც პირველად დაჭილეთ კამკამა წყარო, გვწადია, სულიც იქ დავლიოთ.

გახსოვს ხოვრითის უბანი? ლუხუნის ხეობის დასაწყისში ოთხი ოჯახი ცალკე ვცხოვრობდით. მე და შენ ბავშვობა იქ გავატარეთ, მერე სოფლის შუაგულში რომ გადმოვსახლდით, გული მაინც იქითკენ მიგვიწევდა. ახლაც, სოფელში რომ ჩავალ, ხოვრითისაკენ გავივლი ხოლმე. როცა ლუხუნში ვბანაობ, თითქოს ბავშვობა მიბრუნდება. იმ ემბაზში ორიოდეჯერ ჩემი გოგონებიც ჩავაყენე. ჩვენი ემბაზი მათ ემბაზადაც ვაქციე. უნდა გენახა, როგორ აფეშურტულდნენ, როცა ვუთხარი, მე ცუდსა სწორედ ამ ადგილას ვისწავლე-მეთქი. ისიც ვუთხარი, შენ რომ მასწავლე.

ხოვრითში რომ მიმყავს გოგოები, ისეთი გრძნობა მაქვს, ჩემს ბავშვობას ვაჩვენებ-მეთქი. ისიც ხშირად მგონია, რომ ხოვრითმა მე ბევრი რამ მომცა. შემოქმედი კაცი ხომ უპირველესად ბავშვობის შთაბეჭდილებით საზრდოობს, და მეც ის ჩვენი ძველი ნასახლარი შთაგონების წყაროსავით მიყვარს.

რამდენჯერ მიფიქრია, სიბერის ჟამს ერთ პატარა ქოხს კვლავ ხოვრითში ავიშენებ, ჩვენს ნასახლარზე, და სადაც აკვანი დამირწიეს, სადაც ცა პირველად დავინახე. თავსაც უკანასკნელად იქ დავკრავ-მეთქი.

საოცარია ბავშვობის პირველხილვა. მახსოვს, შებინდებისას ბავშვი ეზოში გავიდი. გაღმა, მთის წვერზე თეთრი ბორბალი ამოგორდა. გავშტერდი, ეს რა საოცრებაა-მეთქი. ეს საოცრება კი მთვარე იყო, რომელიც უხსოვარი დროიდან ამოდის და ჩადის, მაგრამ პირველხილვისას ყველას აოცებს, თითქოს მანამდე არც ამოსულიყოს. მაშინ მთვარე კოშკივით აზიდულ კლდესთან ამოვიდა. იმ კლდეს თავზე დოლბისნაირი მრგვალი ქვა გვირგვინივით ედგა. აი, რამდენი წელი გავიდა უკვე და მთვარის ამოსვლას რომ ახსენებს ვინმე, სწორედ ის პირველი სურათი მეცხადება, ჩემთვის მთვარე მხოლოდ და მხოლოდ იმ დოლბისნაირგვირგვინიანი კლდის ზურგიდან ამოდის.

გახსოვს, ხოვრითში, ჩვენს სახლთან. კლდეში ბინული გამოდიოდა. ახლაც გამოდის. იმ ბუანში სხვები დასახლდნენ, წყაროს კი ისევ ჩვენი სახელი ჰქვია. ხოვრითში გავლისას მწყურია თუ არ მწყურია, იმ წყაროსთან მივდივარ, ვეწოქები და ხარბად ვსვამ... ეს წყარო სხვა რამით თუ არა, ფიქრით მაინც ბავშვობასთან მაბრუნებს.

მე ის წყარო მეჩვენება უკემრიელესად, ღარად ცაცხვის ხის ქერქი რომ უკია. ასეთი წყარო ბაღლობისას დავლიე. პატარა პეშვი შევეშვირე და ისე დავლიე.

იმ ბილიკებზე ვავლაც მიყვარს, ბავშვობისას რომ დავფხოწიალობდი. იქ რომ გავვლი, თითქოს სიცოცხლე მემატება.

ბიჭო, თუ სადმე ხარ, ეს ყველაფერი შენ არ გენატრება? შენი ბავშვობის წყაროს დალევლად რა გაძლებინებს?

დედასამშობლოს გარდა დედის საფლავიც გელოდება. შენ ხომ იმ საფლავზე ცრემლებ არ დაგიტირა?

მე რომ ომიდან დავბრუნდი, უმალვე დედას საფლავისაკენ გავიარე და ყველაფერი ვუამბე, რაც თავს გადამხდა. ვახარე, ათასი სიკვდილი რომ დავამარცხე.

ამბობენ, ვინც მიწაში შავთმიანი წვება, სამარადისოდ შავთმიანი რჩებაო. შავ მიწაში თმა აღარ თეთრდება, მარად ღამისფერს ინარჩუნებსო.

ხალხმა საფლავში რომ ჩაუშვა, დედას ორი შავი ნაწნავი ჰქონდა. მაგრამ დედამ იმ შავნაწნავებთან ერთად ქვეყნად დატოვებული სამი ობლის დარდიც ჩაიყოლია და, მე მგონია, ჩვენმა დარდმა იგი ცივ საფლავშიც არ მოასვენა და თოვლისფერად გაათეთრა. ჰო, ვინც შავთმიანი წვება საფლავში, ასევე შავთმიანად რჩება სამარადისოდ, ჩვენს დედას კი, რატომღაც დარწმუნებული ვარ, თმა მთლიანად გაუთეთრდა იქ... მარტო ჩვენს დედას კი არა, მე მგონია, ობლების დამტოვებელ ყველა შავთმიან დედას უთეთრდება თმა... ბუნების მარადიულ კანონს მხოლოდ ისინი არ ემორჩილებიან.

დედას ჩემი დარდი, ვიცი, ახლა უკვე აღარ აქვს, არც ჩვენი დის, თინას ბედიღბალი აწუხებს. თინას თავისი ოჯახი აქვს და ქალ-ვაჟი დაურბის ეზოში. შენღა დარჩი სადარდებელი, მხოლოდ შენ. თუ შენი კარგად ყოფნაც გაიგო, ჭაღარა თმა ისევ გაუშავდება. გესმის, ბიჭო, რას გეუბნები?

დედა, ეჰ, დედა. ქვეყნიერებაზე დედა ყველაფერია! ვიდრე შვილები ცოცხალი ვიკულებს, მე მგონია, საფლავში ჩაწოლილი დედაც კი ცოცხალია რაღაცნაირად.

ჩემთვის ერთია ღმერთი და დედა, ღმერთის ხატი და დედის სურათი. დედას უყვარდა ხატი და ღმერთი, ხოლო როცა ის ლოცულობდა, მისი ხათრით მეც ვიწერდი ხოლმე პირჯვარს. დედას ღმერთისა სჯეროდა, მე კი მჯეროდა დედის და როგორც დედას უყვარდა ღმერთი, ისე მიყვარდა მე დედა და უფლის ხატიც მიყვარდა დედის ხათრით. ხშირად კი თვითონ დედაც ღმერთი მეგონა, კაცმა რომ თქვას, განა ნამდვილი ღმერთი სწორედ დედა არ არის!

ვაი რომ ეს ღმერთი მალე გამომეცალა ხელიდან!

ნატგრისთვალი რომ მეპოვა და მარტოოდენ ერთი ნატგრის უფლება მქონდა, იცი, რას ჩავუთქვამდი? დედის გაცოცხლებას, ჩემი ნამდვილი ღმერთის გაცოცხლებას. ხოლო თუ მკვდრის გაცოცხლების უფლება არ მექნებოდა, ვინატრებდი: თუნდაც ერთი პატარა, მაგრამ უკვდავი ღვინო დამეწერა სწორედ დედაზე, რომ იმ ღვინით ორივეს ვკვეცოცხლა მარად.

ო, რა მარტივად და ბრძნულად მითხრა ერთმა გლეხმა:

— დედა იცი, რა არის? აი, იტკენ რამეს, ან გაგეცრება. აქიმი მალამოს დაგადებს და ფრთხილად შეგიხვევს, სხვებიც გალერსებიან, გეფერებიან, ნაირნაირ მალამოს ისინიც გადებენ და მაინც გტკივა. მოვა დედა, იმ ჭრილობაზე ან ნატკენზე ერთს გაკოცებს, და ტკივილიც უმალვე გაგიქრება. უბრალოდ გაკოცებს და გიტყვის: მოიცრიცე, აღარ გტკივარო, და მართლაც აღარ გტკივა. ეს არის დედა. უდედოდ გაზრდილი ბავშვები ამას ვერასოდეს გაიგებენ. „პრიუტის“ გოგო-ბიჭები ამიტომ უფრო მეცოდებიან.

მიყვარს გლეხური სიბრძნე. ეს იგივე მიწის სიბრძნეა. გლეხებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ვუსმენ. მათი პირით ვიგებ, მიწა რას ფიქრობს.

ჩვენ ხომ მიწასაც დედას ვეძახით, დედამიწას.

სამშობლოსაც ვანა დედას არ ვეძახით — დედასამშობლოს?

სამშობლო უკვდავი დედაა.

და ვაი მას, ვინც ამ უკვდავებას კარგავს, სხვადასხვა ბედი აქვთ ადამიანებს, სხვადასხვა ბედი აქვთ ქვეყნებს.

მე მთელ დედამიწაზე ორი ქვა მიყვარს ყველაზე მეტად: ერთი — მამაპაპეული ჩემი სახლის საძირკვლად რომ დევს სოფელში, მეორე — დედაჩემის საფლავის სანაშენად რომ არის მიწაში ჩასობილი. ამ ორ ქვაზე ძვირფასი მე არსად მეგულება.

ყველა ადამიანი ხომ წარსულისა და მომავლის შემაერთებელი ხიდია!

ვანა მე იმავე ცეცხლით არ ვთბები, პირველმა ქართველმა რომ ქართულ კერაზე აანთო? ხოლო ათი ათასი წლის შემდეგ ქართველი რომ გაივლის ამ მიწაზე, ვანა მის სიცოცხლეში ჩემი სიცოცხლეც არ იქნება შერეული?

ეს არის სიცოცხლის ულამაზესი საგალობელი.

როცა ჩემი პირველი შვილის ამქვეყნად მოსვლის ამბავი გავიგე, იმ წუთში სწორედ ღმერთად ვიქეცი, მთელი სამყარო ჩემი მეგონა. თითისტოლა გოგონას უმალვე ჩემი ბებიას სახელი დავარქვი — ხათუნა. და მე ვიგრძენი, რომ რაღაც დიდი მოხდა ჩემს არსებაში. მშობლებმა მე გადმომილოცეს სიცოცხლე, ალავერდიო, ახლა მე ჩემს შვილს გადავეცი სიცოცხლის ესტაფეტა — გაავრძელე-მეთქი. იმ დღიდე მე ჩემი ქვეყნისა და კაცობრიობის სიცოცხლის წინაშე ვალში ვიყავი, ჰოდა, ამ ვალის გადახდა ნაწილობრივ მაინც შემიძლია...

იმ შემოდგომის ღამით ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ძირს ჩამოცვივნული ფოთლები შარიშურობდნენ. მე მივრბოდი შინისაკენ მარტო და წინ უკვდავებასავით მიმიდოდა ახალი სიცოცხლის დაბადების ამბავი. კი არ მივრბოდი, მივფრინავდი. თითქოს უცებ ცის ჭერმაც აიწიაო, საოცრად გადიდდა და გაფრმავდა. მომეჩვენა, რომ ცის ჭერი ჩემმა სიხარულმა ასწია, ეს სიხარული მიწაზე ვეღარ იტკიდა. მერე თითქოს მთელი ქალაქი ჩემ გვერდით მოფრინავდა და იდუმლად გალობდა, ახალი სიცოცხლის დაბადებას უგალობდა.

ბიჭო, მაშინ ჩემს ახლოს შენც რომ ყოფილიყავი, მე კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი სიხარული მქონდა შენთვის გასაზიარებელი!

სხვაგან თუ არა, ჩემს გულში ხომ ხარ ცოცხალი. ჰოდა, ახლა ჩემს გულში გესაუბრები. მაგრამ თუ სადმე თვალგასხვილილი დადიხარ, იქნებ ეს ჩემი ჩურჩული ნიავმა ჩამოიტანოს? იქნებ გაიგონო ოდესმე ჩემი ხმა. ჰოდა, შენც შემოხმიანე, ძმაო.

შენს ბავშვობასთან შეხვედრა არ გენატრება?

მშობლიურ ხალხში ყავლა არ გწყურია?

გეძახის შენი დედის საფლავი, გულზე ცრემლები დამაყარე და მიწაში გაჰაეროვებული თმა კვლავ გამიშავე. შენი დარდი მომაშორეო. შენ იქ ცრემლები არ ყოფილა, დედის საფლავსაც კი სათლავში ჩაწოლილ დედასაც კი შვილის ცრემლი აცოცხლებს.

გეძახის ძმა და დედულ-მამული, შენი სამშობლოს მიწა გეძახის, გეძახის შენი საყვარელი ფესვი!

გეყოფა ამდენი დუმილი, ბიჭო!

აკაკი გეწაძე.

1968 წელი, ივნისი. ქ. თბილისი.

[E-10]

4. 9/64

პირველი წრის ფინიშთან

სპორტული მიმოხილვა

ჩვენი გაზეთის მე-9 ნომერში ვიუწყებოდით თბილისის ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის შესახებ: ასპარეზობა დამთავრდა. დამთავრდა ნანა ალექსანდრიას ბრწყინვალე გამარჯვებით. მიუხედავად არასახარბიელო სტარტისა და ავადმყოფობისა ნანამ მნიშვნელოვნად გაუსწრო მეტოქეებს და პირველი პრიზი მოიპოვა.

კლასიკურ მოჭიდავეთა ჩემპიონატში ჩვენმა თანამემამულემ ომარ ბლიაძემ ოქროს მედალი მოიპოვა. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა ძალოსანი დ. შანიძე. ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა შესანიშნავად ითამაშა იტალიელთა წინააღმდეგ დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალში. ალექსანდრემ ორივე შეხვედრა მოიგო, ჯერ დაამარცხა იტალიაში ნატურალიზებული ავსტრალიელი მალიგანი — 6:2, 6:4, 6:4, შემდეგ კი გაანადგურა უძლიერესი ვეტერანი პეტრანჯელო — 6:0, 6:0, 6:1. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გუნდის გამარჯვებისათვის. თ. ლეიუსმა ორივე შეხვედრა წააგო, ხოლო გადამწყვეტი ასპარეზობა წყვილთა შორის იტალიელებმა მოიგეს.

ახლა ა. მეტრეველი უიმბლდონში გამოდის, სადაც პროფესიონალებიც მონაწილეობენ. ქართველი ჩოგბურთელი 16 უძლიერეს მონაწილეთა შორის გავიდა. დაამარცხა ესპანელი ორანტესი — 6:2, 6:2, 4:6, 10:8; ფრანგი ბესტა — 6:1, 6:1, 6:1; მესამე ტურში კი პროფესიული ჩოგბურთის ვარსკვლავი ამერიკელი გონსალესი — 6:4, 4:6, 6:3, 7:5.

ვინც კალათბურთელთა მატჩებს ადევნებს თვალს, იცის, რომ ამერიკელებისათვის ჩვენს ნაკრებს ჯერ არასოდეს მოუგია. და აი ორჯერ ზედიზედ ჩვენმა ნაკრებმა მოსკოვში დაამარცხა ამერიკის ოლიმპიური ნაკრები. ორივე მატჩში თავი იასახელა თბილისის დინამოელმა ზურაბ სპანდელიძემ, რომელიც საუკეთესო იყო გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით მეორე მატჩში. მატჩები დამთავრდა — 91:83, 91:80.

წარმატებით ემზადება მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისათვის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ომარ ფხაკაძე. ქართველმა ველოსიპედისტმა კვლავ დაამტკიცა თავისი სიძლიერე როდესაც ტულაში იოლად დაამარცხა საერთაშორისო ტურნირში მონაწილე უცხოელი და საბჭოთა კონკურენტები და „დიდი ბროლის“ თასი მოიპოვა.

საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. ფინიშამდე 4 ტური დარჩა. დღეისათვის თბილისის დინამოელებს 19 ქულით მესამე ადგილი უკავიათ და პირველ ადგილზე მიმავალ მოსკოვის „სპარტაკს“ ოთხი ქულით ჩამორჩებიან. აღსანიშნავია, რომ 15 მატჩში დინამოელებმა მხოლოდ ოთხი ბურთი გაუშვეს საკუთარ კარში — ყველაზე ნაკლები. ისიც აღსანიშნავია, რომ მათ ცოტა ბურთი აქვთ გატანილი — 11. ეს ნამდვილად უცნაურად გვეჩვენება, რადგან დინამოელებს ყოველთვის სჩვეოდათ საწინააღმდეგო; მრავალი ბურთის გაშვება და მრავალი ბურთის გატანა.

დაცვა მართლაც რომ კარგად თამაშობს. არ დაგავიწყდეთ, რომ ბრწყინვალე მურთაზ ხურცილავა არ თამაშობს ნაკრებში ყოფნის, შემდეგ კი ტრამვის გამო. გუნდი მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს. ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდით სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩი რომ გენახოთ თბილისის „დინამოსა“ და როსტოვის არმიელთა შორის, რომელიც ქართველმა ფეხბურთელებმა მოიგეს 3:0. მათ მართლაც შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენეს ამ დღეს. ვინ იცის იქნებ წელს მაინც მოიპოვონ თასი, ან პირველი ადგილი? ყოველშემთხვევაში გუნდში ახლა კვლავ დაბრუნდნენ ნაკრებიდან პ. ასათიანი, გ. ნოდია, კოლექტივში კარგი განწყობილება სუფევს და ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

დღეისათვის თბილისის „დინამოს“ გული და სულია ვეტერანი სლავა მეტრეველი, რომელსაც მხარს უბამენ ახალგაზრდები. იგი თითქოს მეორე ახალგაზრდობას განიცდის, ასევე კარგია მიხეილ მესხიც. და საქმე იმაშია, რომ ეს ორივე ბრწყინვალე ფეხბურთელი ასაკის გამო (ერთი 32 წლისაა და მეორე 31 წლისა) არ გაიწვიეს ნაკრებში.

ამის თაობაზე ცნობილი საბჭოთა მიმომხილველი ლ. ფილატოვი თავის ყურნალ „ფუტბოლ-ჰოკეიში“ ევროპის ჩემპიონატში წარუმატებლობის გამო წერდა: „საქმე იქამდე მივიდა, რომ ასაკის გამო ნაკრებში არ გაიწვიეს ისეთი გამოჩენილი ფორვარდები, როგორიც მესხი და მეტრეველია. მეტრეველი კი ამას წინათ ბრაზილიელებმა მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. მაგრამ ბ. ჩარლტონიც ხომ ვეტერანია (32 წლის), ხომ არ დაუწუნებია იგი მსოფლიოს ჩემპიონობა მწვრთნელს რამ-ხეის ასაკის გამო?“.


ასეა თუ ისე, მესხიც და მეტრეველიც ამტკიცებენ, რომ კვლავ საუკეთესო ფორვარდები არიან საბჭოთა ფეხბურთში.

ქუთაისის „ტორპედომ“ ზედიზედ განიცადა წარუმატებლობა, მაგრამ მისი თამაში მაინც მოწონებას იმსახურებს. მართალია დღეისათვის ქუთაისელები აუტსაიდერთა რიგებში არიან, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ტორპედოელებს საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავთ, გუნდი ცუდად არ თამაშობს, ასე რომ გასვლით თამაშებში დაკარგულ ქულებს შინ აინაზღაურებს.

მომავალ ტურში ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის მოწმენი გავხდებით. თბილისში ერთმანეთს ხვდებიან ორი დინამო, კიევის და თბილისის. ამ მატჩზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ო. ლორთქიფანიძე.

მხიარული კუთხე



დაგეძებენ, მოგელიან

კონსტანტინე სილგისტროს-ძე კვაჭაძეს, დაბადებულს 1900 წელს ქ. თბილისში, ეძებს და — თამარ სილიბისტროს ასული კვაჭაძე.

დიმიტრი რაჟდენის-ძე ლოლაძეს, დაბადებულს 1910 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ხოწში, ეძებს შვილი — იური დიმიტრის-ძე ლოლაძე.

ძმებს გრიგოლ (გრიშა) ლუკას-ძეს, დაბადებულს 1916 წელს, ვასილ ლუკას-ძეს, დაბადებულს 1906 წელს, ალექსანდრე (სანდრო) ლუკას-ძეს ხელაძეებს, (დაბადებულს 1912 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა ბზვანში), ეძებს ძმა — ვახტანგ ლუკას-ძე ხელაძე.

გოუსჯინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,88 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი საქართველო

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.